



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„მადერა ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისათვის

საქართველო, ქუთაისი

2023წ.

შინაარსი

	3
1 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	
2 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4-6
3 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
4 სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
5 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
6 ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
7 ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები	11-20
8 მმართველობითი ანგარიშგება	21-27

შ.პ.ს. „მადერა ჯორჯია“
ს/კ 212821008
ქ. ქუთაისი, 4600 ნიკეას ქ. 1 შეს. #7

ტელ.: 597-70-90-90
ელ-ფოსტა:maderaltd@gmail.com



L.T.D. „MADERA GEORGIA“
ID 212821008
4600 KUTAI, GEORGIA, NIKEA
STR.1LN#7
P.: 597-70-90-90
E.: maderaltd@gmail.com

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის
ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მადერა ჯორჯია“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 28 ივნისს.

პატივისცემით,

შპს „მადერა ჯორჯია“-ს

დირექტორი:

ბესიკ მატკავა

26.09.2024





№ 153/09

26.09.2024წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადერა ჯორჯია“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას.
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მადერა ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“-ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „მადერა ჯორჯია“-საგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის საქმიანობის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე (კომპანიის ქონება განთავსებულია ორ მისამართზე, კომპანიაში ვერ ჩაატარა მარაგების ინვენტარიზაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება მარაგების ფაქტობრივ მდგომარეობასა და რაოდენობაზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია 756428 ლარის ოდენობით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღნიშნულ მარაგებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე 2023 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.



გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან უდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

სხვა გარემოებათა ამსახველ აზრები

უნდა აღნიშნოს, რომ შესაძარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე, ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიასთან არამარწმუნებელ გარიგებას ადგილი არ ჰქონია.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.



• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „მადერა ჯორჯია“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „მადერა ჯორჯია“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „მადერა ჯორჯია“-ს უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მიხედვით შპს „მადერა ჯორჯია“ ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის სახით.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ: გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას; შევამოწმოთ ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს მმართველობის ანგარიშგება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტების გათვალისწინებით, შეესაბამება მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების თანხვედრილია.

მზევინარი გურაბანიძე, გარიგების პარტნიორი № SARAS-A-982542

შპს „აუდიტორული კომპანია ალსო“ №SARAS-F-742875

26.09.2024წ.

ქუთაისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2023	31.12.2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	11 2744118	2570736
სულ გრძელვადიანი აქტივი	2744118	2570736
მიმდინარე აქტივები		
მარაგი	12 756428	993415
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13 32968	43957
ფულადი სახსრები	14 13517	179691
სულ მიმდინარე აქტივები	802913	1217063
სულ აქტივები	3547031	3787799
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
სარეზერვო კაპიტალი	31564	31564
საწესდებო კაპიტალი	15 356000	243000
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	(565165)	(89431)
სულ საკუთარი კაპიტალი	(177601)	185133
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	16 3386284	3383528
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3386284	3383528
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17 18452	65358
მოკლევადიანი სესხი	18 197066	0
საგადასახადო ვალდებულებები	19 5981	6670
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	20 116849	147110
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	338348	219138
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3547031	3787799

დირექტორი:

ბ. მატკავა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31.12.2023

31.12.2022

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები

11 2744118

2570736

სულ გრძელვადიანი აქტივი

2744118

2570736

მიმდინარე აქტივები

მარაგი

12 756428

993415

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

13 32968

43957

ფულადი სახსრები

14 13517

179691

სულ მიმდინარე აქტივები

802913

1217063

სულ აქტივები

3547031

3787799

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

სარეზერვო კაპიტალი

31564

31564

საწესდებო კაპიტალი

15 356000

243000

გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

(565165)

(89431)

სულ საკუთარი კაპიტალი

(177601)

185133

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხი

16 3386284

3383528

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები

3386284

3383528

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

17 18452

65358

მოკლევადიანი სესხი

18 197066

0

საგადასახადო ვალდებულებები

19 5981

6670

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

20 116849

147110

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

338348

219138

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

3547031

3787799

დირექტორი:



ბ. მატკავა

სრული შემოსავლებისა ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	4	930165	1148130
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(656170)	(1042525)
საერთო მოგება		273995	0
სხვა შემოსავალი	6	115182	77474
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(285694)	(306921)
სხვა ხარჯები	8	(565783)	(461284)
ფინანსური ხარჯები	9	(13184)	(115936)
მოგება დაბეგვრამდე		(475484)	(701062)
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(250)	0
მიმდინარე წლის მოგება		(475734)	(701062)

დირექტორი:

ბ. მატკავა

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	4	930165	1148130
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(656170)	(1042525)
საერთო მოგება		273995	0
სხვა შემოსავალი	6	115182	77474
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(285694)	(306921)
სხვა ხარჯები	8	(565783)	(461284)
ფინანსური ხარჯები	9	(13184)	(115936)
მოგება დაბეგრამდე		(475484)	(701062)
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(250)	0
მიმდინარე წლის მოგება		(475734)	(701062)

დირექტორი:

ბ. შიჩი

ბ. მატკავა



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
31.12.2021	1000	611631	31564	644195
პერიოდის შედეგი ზრდა (+) შემცირება	242000	(701062)	0	(459062)
31.12.2022	243000	(89431)	31564	185133
პერიოდის შედეგი ზრდა (+) შემცირება	113000	(475734)	0	(362734)
31.12.2023	356000	(565165)	31564	(177601)

დირექტორი:

ბ. მატკავა

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
31.12.2021	1000	611631	31564	644195
პერიოდის შედეგი ზრდა (+) შემცირება	242000	(701062)	0	(459062)
31.12.2022	243000	(89431)	31564	185133
პერიოდის შედეგი ზრდა (+) შემცირება	113000	(475734)	0	(362734)
31.12.2023	356000	(565165)	31564	(177601)

დირექტორი:

ბ. მატკავა

ბ. მატკავა



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

31.12.2023

31.12.2022

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	935246	1965972
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(737300)	(2943333)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(159545)	(201002)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	38401	(1178363)
გადახდილი გადასახადები	(49270)	(9338)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(10869)	(1187701)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(99252)	(48404)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(99252)	(484042)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსური შემოსავალი დაფინანსებიდან	106346	71136
საწესდებო კაპიტალის გარდა (შემცირება)	113000	242000
სესხის მიღება	805000	2300000
სესხის დაფარვა	(605178)	(431423)
სესხის პროცენტის დაფარვა	(475161)	(342499)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(55993)	1839214
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(166114)	167471
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	179631	12220
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	13517	179691

დირექტორი:

ბ. მატკავა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

31.12.2023

31.12.2022

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	935246	1965972
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(737300)	(2943333)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(159545)	(201002)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	38401	(1178363)
გადახდილი გადასახადები	(49270)	(9338)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(10869)	(1187701)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(99252)	(48404)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(99252)	(484042)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსური შემოსავალი დაფინანსებიდან	106346	71136
საწესდებო კაპიტალის გარდა (შემცირება)	113000	242000
სესხის მიღება	805000	2300000
სესხის დაფარვა	(605178)	(431423)
სესხის პროცენტის დაფარვა	(475161)	(342499)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(55993)	1839214
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(166114)	167471
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	179631	12220
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	13517	179691

დირექტორი:



ბ. მატკავა

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები**ზოგადი ინფორმაცია**

შპს „მადერა ჯორჯია“ (ს.კ. 212821008) წარმოადგენს შედუდული პასუხისმგებლობის საოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. შეიქმნა (დაარსდა) 2004 წლის 04 მარტს, იურიდიული მისამართია: ქ.ქუთაისი, ნიკეას 1-ლი შესახვევი #7. საზოგადოება დაარსების დღიდან ეწევა მეორადი (ექსპლოატაციური) ნამყოფი ხის მასალებისგან სხვადასხვა პროდუქციის დამზადება-გაყიდვას ისრაელში და ნიდერლანდებში ამზადებს ავეჯს საოფისედ, სასტუმროებისა და რესტორნებისათვის ინდივიდუალური დაკვეთებით ადგილობრივი დამკვეთებისათვის. ამჟამინდელ საქმიანობასაც წარმოადგენს: მეორადი(ექსპლოატაციური ნამყოფი) ხის მასალისაგან სხვადასხვახის დეტალების დამზადებას (ავეჯის კედლის ხის დეკორი მუხის და წაბლის ხისაგან, მუხის ხის სხვადასხვა დეტალებს იატაკისათვის) და აწარმოებს ავეჯს ოფისებისათვის.

შპს „მადერა ჯორჯია“ დამფუძნებელი პარტნიორია დავითი ქარქაშაძე (პ.ნ. 60002002551), დირექტორი ბესიკ მატკავა (პ.ნ.62005010495)

საზოგადოების მიწის ფართობია 5961 კვ.მ (ს.კ. 03.04.32.106) რომელზედაც განთავსებულია: საოფისე, საწარმოო პროცესებისათვის განკუთვნილი, ნედლეულის და მზა პროდუქციისათვის განკუთვნილი შენობები, აგრეთვე დაუმთავრებელი მშენებლობები ლითონის ნაკეთობების საწარმოებლად და სალაქავი შენობი. სულ შენობების ფართობი 3085 კვ.მ. 06.05.2021 წელს კომპანიამ აუქციონის წესით შეიძინა არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი 14050 კვ.მ.(ს.კ. 03.05.24.862) მდებარე ქ.ქუთაისი, სულხან-საბას 19 დ-ს მიმდებარედ. მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 4122,29 კვ.მ. 29.05.2023 ისევ აუქციონის წესით შეიძინა 273 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს.კ. 03.05.28.602) მდებარე ქ.ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი #75-ის მიმდებარედ.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები არ გააჩნია.

ბიზნეს გარემო საქართველოში

საწარმოს საქმიანობა მომსახურების ნაწილში არ რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით. საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა-ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 /12/ 2023წ	31 /12/ 2022წ	31 /12/ 2021წ
1 USD/GEL	2.6894	2.7020	3.0976
1 EURO/GEL	2.9753	2.8844	3.5040
RUB/ 100 რუსული რუბლი	2.9916	3.6770	4.1479

მომზადების საფუძვლები

საწარმოს 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ახსნა-განმარტებითი შენიშვნებში მოტანილია დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ით, ასევე მოიცავს 2022 წლის შესადარის ინფორმაციას.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის პროგნოზირებად მომავალში.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თუ პრაქტიკულად მომსახურების გაწევა ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება, როგორც ამონაგები და ხარჯი, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

(ბ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას.

(გ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და

ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროს სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკუროს სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

(დ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

(ე) მარაგი

მარაგის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

(ვ) დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

(ზ) იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც იჯარის პირობებით გათვალისწინებულია იჯარით აღებული აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებლის ძირითადი გადასვლა საწარმოზე. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

(თ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

□

შენობა-ნაგებობები	2-5%
მანქანა-დანადგარები	10-15%
სატრანსპორტო საშუალებები	10-20%
სხვა ძირითადი საშუალებები	5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(ი) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე:

ლიცენზიებისათვის - მათი გამოყენების ვადის საფუძველზე; პროგრამული უზრუნველყოფისათვის 10% განაკვეთით.

(კ) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება მარაგის გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

(ლ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

(მ) სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში. საწარმოს ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

(ნ) ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

4. ამონაგები

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მომხმარებლებისთვის წარმოადგენს სხვადასხვა ავეჯისა თუ ხის მასალის დამუშავება, მიწოდება. გარდა ამისა, კომპანია შემოსავალს აგენერირებს მომსახურებიდან. თუმცა მთავარი შემოსავლის წყაროს სხვადასხვა ავეჯისა და ხის პროდუქტების მიწოდება წარმოადგენს.

	2023 წელი	2022 წელი
პროდუქციის რეალიზაციიდან	925056	1147884
საქონლის	1306	0
მომსახურებიდან	3803	246
სულ შემოსავალი	930165	1148130

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლებად, რომელ პერიოდშიც იქნება გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღიარდება და ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო ღირებულებით ე.ი. მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ) გარეშე.

5. რეალიზებული პროდუქციის და მომსახურების თვითღირებულება

	2023 წელი	2022 წელი
მასალა	491625	727360
ხელფასი	60308	83832
ცვეთა	101004	78467
მომსახურება	3233	152866
ჯამი	656170	1042525

6. სხვა შემოსავლები

	2023 წელი	2022 წელი
„აწარმოე საქართველოში“ დაფინანსება	106346	71136
კურსებს შორის სვობა	8836	6338
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	115182	77474

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
ხელფასი	104813	144280
ცვუთა	25271	65438
კომუნალური ხარჯი	16458	20834
სატელეკომუნიკაციო	3587	3142
დაზღვევა	5806	3096
სხვა ხარჯი	129759	70131
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	285694	306921

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტის

8. სხვა ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
სესის %	475161	342499
საგადასადო ხარჯი	19928	13196
აუდიტის ხარჯი	8500	3000
ტრანსპორტირების ხარჯი	39607	86100
მანქანა დანადგარების შენაღ�ის ხარჯი	13570	10065
სხვა ხარჯი	9017	6424
სულ ხარჯი	565783	461284

9. ფინანსური ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
სვადასვა ჯარიმები	237	15879
კურსებს შორის სვობა	11489	97957
ქველმოქმედება	50	2100
არაეკონომიკური საქმიანობისათვის გაწეული ხარჯი	1408	0
სულ არასაოპერაციო ხარჯი	13184	115936

10. მოგების გადასახადი

2022 წლის განმავლობაში არ მომხდარა დივიდენდის განაწილება და გაცემა, რის გამოც არ მოხდა მოგების გადასახდის აღიარება. ხოლო საანგარიშო 2023 წელში მოლოდ 1408 ლარის დაუდასტურებელი ხარჯის კუთვნილმა მოგების გადასახადმა შეადგინა 250 ლარი.

11. ძირითადი საშუალებები

დასახელება	შენიშვნა- ნაგებობები მიწით	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ა ვეჯი ინვენტარი	სატრანსპორ ტო საშუალებებ ი	სულ
საწყისი (ისტორიული) ღირებულება					
ნაშთი 31.12.2021	1394086	263900	29030	43701	1730717
აქტივების შეძენა	585015	346978	19460	117604	1069057
აქტივების გასვლა		-6410	-3041	-24095	-33546
ნაშთი 31.12.2022	1979101	604468	45449	137210	2766228
აქტივების შეძენა	222879	77314	4538		304731
აქტივების გასვლა		-2611	-3728		-6339
ნაშთი 31.12.2023	2201980	679171	46259	137210	3064620
აღიარებული ცვეთა					
ნაშთი 31.12.2021	77186	24277	2480	5123	109066
ცვეთის დარიცვა	25663	48162	3520	11926	89271
ცვეთის ჩამოწერა				-2847	-2847
ნაშთი 31.12.2022	102849	72439	6000	14202	195490
ცვეთის დარიცვა	26382	75232	5315	19350	126279
ცვეთის ჩამოწერა		-1267			-1267
ნაშთი 31.12.2023	129231	146404	11315	33552	320502
საბალანსო ღირებულება					
სნდ 31.12.21	1316900	239623	26550	38578	1621651
სნდ 31.12.22	1876252	532029	39449	123008	2570738
სნდ 31.12.23	2072749	532767	34944	103658	2744118

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში (მონტაჟი, გაშვება) მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში ძირითადი

საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

12. მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	1780	3253
ნედლეული მასალები	596362	820263
საამშენებლო მასალები	358	49521
დამხმარე მასალები	11848	11536
მზა პროდუქცია	51670	51670
სვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	94410	57172
სულ მარაგები	756428	993415

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებით, მისი აღრიცხვა ხდება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან	13234	26515
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	172	313
გადახდილი ავანსები	4058	820
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	15504	16309
სულ მოთხოვნები	32968	43957

14. ფული და ფულის ექვივალენტები

15.

	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4342	179691
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	9175	0
სულ ფული და ფულის ექვივალენტი.	13517	179691

16. საწესდებო კაპიტალი

საწარმოს განსაღვრული აქვს საწესდებო კაპიტალი ეროვნული ვალუტა ლარით, საწესდებო კაპიტალის შევსება რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად

	31.12.2023	31.12.2022
საწესდებო კაპიტალი	356000	243000

17. 18. გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი და სხვა მოკლევადიანი სესხები

	სესხის ხანგრძლივობა	წლიური სარგებელი	სესხი მიზნობრიობა	გრძელვადიანი ვალდებულება სულ 31.12.2023 წ-თვის	გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ვალდებულება	გრძელვადიანი ვალდებულება
9378404	19.06.2024- 05.06.2028	12.5	ბიზნეს სესხი	395000	14318	380682
7193070	27.04.2021- 01.05.2031	12	ბიზნეს სესხი	1073261	26002	1047259
193092	27.04.2021- 05.06.2026	12	აწარმოე საქართველოში	239654	26771	212883
8029018	01.02.2022- 04.02.2032	9.5	აწარმოე საქართველოში	1875435	129975	1745460
				3583350	197066	3386284

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზირებული ღირებულებით. კომპანიის მიღებული სესხების შედგება ბანკებისაგან მიღებული სახსრებისგან. სესხი მიღებულია ლარში.

	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	197066	0
გრძელვადიანი სესხი	3386284	3383528
სულ მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხი	3583350	3383528

18. სავაჭრო ვალდებულება

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები უცხოელი მომწოდებლის მიმართ	18452	65358
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18452	65358

19. საგადასადო ვალდებულება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 5981 ლარს, რომელიც შეადგენს ბიუჯეტში დამატებითი ღირებულებისთვის გადახდილ თანხას. 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ჯგუფს ჰქონდა საგადასახადო ვალდებულება 6670 ლარი, ხოლო 2021 წელს საგადასახადო ვალდებულება შეადგენდა 2968 ლარს.

20. სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
ავანსად მიღებული თანხები	104137	134290
სხვა ვალდებულებები	12712	12820
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	116849	147110

21. შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „მადერა ჯორჯია“-ს დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 26 სექტემბერს



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადერა ჯორჯია“

ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიშგება

2023წ.

შინაარსი

1	კომპანიის ისტორია	3
2	ნედლეულის მოპოვება.....	3
3	კომპანიის ფინანსური მდგრალობის მაჩვენებელი	4
4	ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა	5
5	წარმოების პროცესი	6

მადერა ჯორჯიას ისტორია

კომპანია "მადერა ჯორჯია" საქართველოს ბაზარზე საქმიანობს 2004 წლიდან. საწარმო დაფუძნდა საბჭოთა პერიოდის ავეჯის საამქროს მატერიალურ ტექნიკურ ბაზაზე. დაარსებიდან მალევე კომპანიამ დაიწყო საერთაშორისო ბაზრის ათვისება და პირველი პროდუქციის ექსპორტი განახორციელა ისრაელში. საამქროს ტექნიკური მოდერნიზაციისა და კვალიფიციური კადრების მომზადების პარალელურად, მიმდინარეობდა საერთაშორისო ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და ხარისხის სტანდარტების კვლევა. აღნიშნული კუთხით კომპანია მუდმივად თანამშრომლობდა საერთაშორისოდ აღიარებულ დარგის ექსპერტებთან და ორგანიზაციებთან.

საწარმოს ისტორიაში გარდამტეხი პერიოდი უკავშირდება 2016 წელს ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერის საერთაშორისო ორგანიზაცია - "PUM"-ის ექსპერტებთან ნაყოფიერ თანამშრომლობას, რამაც ხელი შეუწყო საწარმოს პროდუქციის ევროპის ბაზარზე მეტ ცნობადობასა და მზარდ პოპულარიზაციას.

დღესდღეობით, "მადერა ჯორჯია" აწარმოებს მასიური ხის ექსკლუზიური ავეჯის ყველა სახეობას გარდა რბილი ავეჯისა. წარმოებაში გამოიყენება უმაღლესი ხარისხის ანტიკვარული ხის მასალა, რომელსაც გამოარჩევს ინდივიდუალურობა და ეკოლოგიურობა. კომპანიის მზარდი და მოდერნიზირებადი მატერიალურ ტექნიკური ბაზა ორიენტირებულია უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაზე.

კომპანია საკუთარი პროდუქტით მასიურადაა წარმოდგენილი ევროპის, ისრაელის ბაზარზე.

მისია-ვიზოთ უპირატესი და სანდო დამსაქმებელი კომპანია საქართველოს ბაზარზე, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური სამუშაო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას საქართველოში. მიზანი-სწორი

წედლეულის მოპოვება

კომპანია მთელი საქართველოს მასშტაბით ანხორციელებს საცხოვრებლად გამოუსადეგარი, ავარიული ხის ნაგებობების შესყიდვას. შპს „მადერა ჯორჯიას“ სპეციალისტები თავად აკეთებენ დემონტაჟს, რათა ყველა დეტალი დაუზიანებლად გადაიტანონ საწარმოში.

საწარმო პროდუქციის დასამზადებლად იყენებს ძველ ხეს, რომელიც 100-200 წლის წინაა მოჭრილი. აღნიშნულ მასალას გავლილი აქვს ხის დამკვლელების ბუნებრივი პროცესი, რომლის დროსაც, ათწლეულების განმავლობაში მოქმედებდა როგორც მეტეოროლოგიური პირობები, ასევე ადამიანის ზემოქმედება და სხვა გარემო ფაქტორები.



ხის ხელმეორედ გამოყენება მსოფლიოში გამოცდილი და კარგად დანერგილი მეთოდია. წედლეული იძლევა საშუალებას, გამოყენებული იქნას შეუზღუდავად ხის ნაკეთობების თითქმის ყველა

სფეროში, დაწყებული საყოფაცხოვრებო და საოფისე ავეჯით, დამთავრებული იატაკის საფარითა თუ კედლის დეკორით.

ნედლეულის შემოტანის შემდგომ ხარისხდება კატეგორიების მიხედვით, სუფთავდება მეტალისგან, რომელიც ხელს უშლის დაზგებზე ნედლეულის დამუშავებას.



კატეგორიების მიხედვით განისაზღვრება მისგან დასამზადებელი ავეჯი, იატაკი, დეკორი და სხვა ნაკეთობა დიზაინის მიხედვით. ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს კედლის დეკორი, რომელშიც გამოიყენება ყველაზე პატარა დეტალები, რაც ხელს უწყობს ნედლეულის ნარჩენების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანას.

კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელი

2023 ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტები:

	საბრუნავი აქტივები	802,913	
ლიკვიდაციის კოეფიციენტი =	-----		= 2.37
	მოკლევადიანი ვალდებულებები	338,348	

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია.

შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

1. შესაბამისი თანამშრომლების მოძიება და აყვანა

თანამშრომლის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კომპანია “მადერა ჯორჯიას” ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კომპანიის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ეს რიგებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- მოქნილობა
- სწორი კომუნიკაციის უნარი
- გუნდური მუშაობის უნარი

2. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება

კომპანია მუშაობს ორი ძირითადი მიმართულებით:

- არსებული/მოქმედი თანამშრომლებისთვის პერიოდული ტრენინგების ჩატარებას კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა, რაც ითვალისწინებს შესაბამისი განათლების მქონე კანდიდატებისთვის პროფესიული გადამზადებას და დასაქმებას.

3. თანამშრომელთა მოტივაციის სისტემა

კომპანიის მენეჯმენტი უწყეტად ზრუნავს თანამშრომლებისთვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათი მოტივაციის ამაღლებაზე. სამოტივაციო სისტემა მოიცავს:

- ხელფასის მატების სისტემა
- კომპანია ფარავს თანამშრომლის საპენსიო შენატანს
- დაზღვევას
- სასწავლო პროგრამებსა და ტრენინგებს
- მხარდაჭერას, სამუშაო საათების ხარჯზე საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო სასწავლო პერიოდის განმავლობაში.
- 24 საშვებულებო დღეს

ავეჯის წარმოების პროცესი

ნაწარმის შექმნის პროცესში პირველ რიგში ისაზღვრება დიზაინი და ხორციელდება ნედლეულის ჭრა.



შემდეგ მიმდინარეობს ფორმირება, დეტალების შეერთება, დასრულება და აწყობა. აწყობის პროცესში, საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად ხესთან ერთად გამოიყენება ლითონი და მინა.



პროექტის მუშაობისას ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე რისკია:

წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა მსგავსი, რომელსაც ვაზღვევთ სადაზღვეო კომპანიის მეშვეობით. ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია

ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:• გაზრდილი გვაქვს მატერიალური/პასუხისმგებელი პირების და უშუალო პასუხისმგებლობა.

- ვაზლევით ქონებას.
- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.
- ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას. რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოფას, რისთვისაც:
- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
- გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
- სისტემატიურად იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე
- პასუხისმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე. ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე. საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია სესხის საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილებასთან, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ღირებულების ცვლილებებზე. საანგარიშო პერიოდში ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული გვაქვს ორი კრედიტი სესხის სახით ლარში, ფიქსირებული განაკვეთით 14%. სისტემატიურად ვსარგებლობ საბანკო გარანტიებით ტენდერებში მონაწილეობისათვის ობიექტის სამუშაოების შესრულებაზე და საავანსო გარანტიებით, 3.25%-იანი ფიქსირებული განაკვეთით.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს. კომპანიის სამუშაოების დიდი ნაწილი გრძელვადიანი პროექტებია, სადაც კონტრაქტორი სახელმწიფოა და სამუშაოების ღირებულებაც განისაზღვრა ეროვნულ ვალუტაში. ამ სამუშაოებისათვის საჭირო მასალების დიდი ნაწილი მიიღებულია ლარის კურსზე, შესაბამისად, კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე, ამასთან, კონტრაქტების მიღება ხდება უცხოელ კომპანიებთან, სადაც სამუშაოების ფასი დაბალია და შეუძლებელია სავალუტო რისკის გათვალისწინება. ამას დაემატა ავანსის დაბეგვრის საკითხი.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

შპს „მადერა ჯორჯია“-ს დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 26 სექტემბერს

დირექტორი:

ბ. მატკავა

ბ. მატკავა

26.09.2024წ.



Page

Page 7